დანართი #1

რეგულირების ზეგავლენის შეფასების ექსპერტთა სერტიფიცირება

კითხვარი

- თქვენს ქვეყანაში სავალდებულოა თუ არა რეგულირების ზეგავლენის შეფასების (შემდგომში - RIA) მომზადება?
- თქვენს ქვეყანაში სავალდებულოა თუ არა RIA-ს ხარისხის კონტროლი?

თუ სავალდებულოა მომზადება:

- რა შემთხვევაშია სავალდებულო?
- რომელი ორგანო ახორციელებს RIA-ს დოკუმენტის მომზადებას? პარლამენტი? მთავრობა?
- ვის მიერ (საჯარო მოხელეები, მოწვეული სპეციალისტები, გარე ექსპერტები და ა.შ.) ხორციელდება RIA-ს დოკუმენტის მომზადება? რამდენად ხშირად მიმართავენ სახელმწიფო უწყებები "outsourcing"-ს?
- არის თუ არა სავალდებულო RIA-ს მომზადებაზე პასუხისმგებელი პრაქტიკოსების/სპეციალისტების/ექსპერტების სერტიფიცირება?

თუ სავალდებულოა ხარისხის კონტროლი:

- რა შემთხვევაშია სავალდებულო?
- რომელი ორგანო ახორციელებს RIA-ს დოკუმენტის ხარისხის კონტროლს? პარლამენტი? მთავრობა?
- არის თუ არა სავალდებულო RIA-ს ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი პრაქტიკოსების/სპეციალისტების/ექსპერტების სერტიფიცირება?

თუ სავალდებულოა სერტიფიცირება:

- ვისზე ვრცელდება აღნიშნული ვალდებულება (საჯარო მოხელეები, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები, კერძო ორგანიზაციებში მომუშავე პირები, ყველა, ვინც RIA-ზე მუშაობს)?
- რა საფეხურებს მოიცავს სერტიფიცირება (გამოცდა, ტესტირება, გასაუბრება, პრაქტიკული დავალება და ა.შ.)?
- ვინ ატარებს სერტიფიცირებას? კერძო სექტორი? კვლევითი ცენტრი?
- რამდენად არის სერტიფიცირების პროცესში ჩართული მთავრობა/პარლამენტი?
- რა პერიოდულობით ტარდება სერტიფიცირება? რა არის სერტიფიკატის მოქმედების ვადა?
- რა არის ის აკადემიური და პრაქტიკული წინაპირობები, რომლებიც საჭიროა სერტიფიცირებაზე დასაშვებად?
- არსებობს თუ არა სერტიფიკატის რამდენიმე დონე (მაგ., basic, intermediate, advanced)?
- თუ არსებობს ასეთი დონეები, რა უფლებამოსილებებს აძლევს მის მფლობელს?
- სერტიფიცირების განმახორციელებელი უწყება თუ ატარებს მოსამზადებელ კურსებს?
- ფასიანია თუ არა სერტიფიცირება?
- არსებობს თუ არა რაიმე საგამონაკლისო წესი, როდესაც პირი თავისუფლდება სერტიფიცირებისაგან (მაგ., არის ასოცირებული პროფესორი და აღნიშნულ საგანს ასწავლის აკადემიურ დაწესებულებაში)?

- რის უფლებას ანიჭებს სერტიფიკატი მის მფლობელს?

თუ არ არის სავალდებულო სერტიფიცირება:

- არის თუ არა დაწესებული რაიმე მოთხოვნა, რომელიც RIA-ს განმახორციელებელმა უნდა დააკმაყოფილოს? (მაგ., იყოს რომელიმე კონკრეტული დარგის სპეციალისტი, ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილება და სხვა)?
- რამდენად ხშირად მიმართავენ სახელმწიფო უწყებები “outsourcing”-ს?
- არსებობს თუ არა მოსამზადებელი კურსი საჯარო მოხელეებისთვის? თუ კი, რამდენად სავალდებულოა მისი გავლა მათთვის, ვინც RIA უნდა განახორციელოს? ვინ ატარებს ამ კურსებს?